

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3 4 5

ქ. ბათუმი, 18 მაისი 2015 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის“ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ.“ „დ.გ.“ „დ.დ.“ ქვეპუნქტების და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კაპიტალში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №25 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ა(ა)იპ - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის - საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ნონეშვილის ქ.№60(62)-ში მდებარე 1721,43 კვ.მ. საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობა, მასზე დამაგრებულ 2485,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.30.19.001).

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

3. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ქონების ა(ა)იპ - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-სათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან ჟოჟაძეს (პირადი ნომერი № 61006029331).

4. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს (ე. ლომაძე) უზრუნველყოს საბუღალტრო დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია.

5. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ზურაბ ბერიძეს.

6. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი